თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №13

თბილისი, 04 ნოემბერი, 2016 წ.

სხდომა დაიწყო 09.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ზვიად ოქროპირიძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე მაჩიტიძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- USAID – ხათუნა კუნჭულია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი;
- „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – ნინო გვარამია;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ლელა ტალიური;
- „საზოგადოებრივი დამცველი“ – დემეტრე ლომაძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 09:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს

იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. პროკურატურის ანგარიში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.

2. ძალადობისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტები:

- 30 ოქტომბერს გორის №42 საარჩევნო ოლქის №45 საარჩევნო უბანთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერებს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით;

- რუსთავის №24 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრ თამაზ ნოზაძის მხრიდან ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის თაობაზე.

3. ზუგდიდის №66 მაჟორიტარული ოლქის №72 საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის დროს 35 კონვერტში საარჩევნო ბიულეტენებთან ერთად მოთავსებულ ამომრჩევლის ბარათებთან დაკავშირებით (ხმის მიცემის ფარულობის შესაძლო დარღვევა).

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი კალანდარიშვილს, დამსწრე საზოგადოებისთვის წარმოედგინა ინფორმაცია, თუ რა ეტაპზე იყო საჩივრების განხილვა და როდის გამოაქვეყნებდა ცესკო არჩევნების შედეგების საბოლოო შემაჯამებელ ოქმს.

ბატონი გიორგი კალანდარიშვილის მიერ წარმოდგენილი მიმდინარე არჩევნების (პირველი და მეორე ტურები) საჩივრების სტატისტიკის თანახმად, პირველი ტურის განმავლობაში სულ მიღებულია 1168 საჩივარი, რომელთაგან 431 სრულად დაკმაყოფილდა, 166 – ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 485 არ დაკმაყოფილდა, ხოლო 229 დარჩა განუხილველი. მეორე ტურის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციაში შესულია 291 საჩივარი, რომელთა შედეგების შესახებ ინფორმაცია ცესკო-ს წარმომადგენელმა ამ ეტაპზე ვერ წარმოადგინა, რადგან გასაჩივრების პროცესები ჯერ კიდევ მიმდინარეობს საოლქო

საარჩევნო კომისიებში (ვადა იწურება სხდომის დღეს, 04 ნოემბერს, 18:00 საათზე). ბატონი გიორგის განცხადებით, საოლქო კომისიების მიერ შემაჯამებელი ოქმების ცესკო-ში წარმოდგენის ბოლო ვადა 10 ნოემბერია, ხოლო შემდგომ ცესკო-მ არჩევნების საბოლოო შედეგები უნდა გამოაცხადოს არაუგვიანეს 19 ნოემბრისა.

ცესკო-ს წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემთხვევაზე ქ. ზუგდიდში, რომელიც ეხება №66 მაჟორიტარული ოლქის №72 საარჩევნო უბანზე 35 კონვერტში საარჩევნო ბიულეტენთან ერთად ამომრჩეველთა ბარათების მოთავსების საკითხს (ხმის მიცემის ფარულობის შესაძლო დარღვევა).

გიორგი კალანდარიშვილის განცხადებით, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა ამომრჩევლის მხრიდან არ წარმოადგენს შედეგების ბათილად ცნობის საფუძველს და საოლქო საარჩევნო კომისიამ სწორედ ამ არგუმენტით არ დააკმაყოფილა განცხადება. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მხარემ გაასაჩივრა ქ. ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში, სადაც სასამართლო იმსჯელებდა ცესკო-ს გადაწყვეტილების მართებულობაზე.

შემდგომ კომისიამ განიხილა გორის №42 საარჩევნო ოლქის №45 საარჩევნო უბანთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერებს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ბატონი შალვა ხუციშვილის, განცხადებით, 2016 წლის 30 ოქტომბერს შსს გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის V განყოფილებაში დაიწყო გამოძიება გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო სობისში ალბერტ მერებაშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით (სსკ 125-ე მუხლის I ნაწილი). გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ გიორგი ბერიანიძესა და ალბერტ მერებაშვილს შორის დაპირისპირება არსებობდა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხა 7 პირი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჩხუბი მოუვიდათ გიორგი ბერიანიძესა და ალბერტ მერებაშვილს და ისინი ერთმანეთს სცემდნენ ალბერტ მერებაშვილის მიერ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა მისამართით შეგინების გამო. გამოძიების პროცესში ამოღებულ იქნა გიორგი ბერიანიძისა და ალბერტ მერებაშვილის ტანსაცმელი; საქმეზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები; გიორგი ბერიანიძის, კობა ბერიანიძისა და ალბერტ მერებაშვილის მიმართ დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები.

ამასთან, ბატონმა შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ქ. გორში დაზარალებული მერებაშვილის მამამ შეურაცხყოფა მიაყენა საარჩევნო უბნის გარეთ მყოფ პირებს (ასკ 166 მუხლის შესაბამისად, იგი დაჯარიმდა გორის რაიონული სასამართლოს მიერ 100 ლარით).

გორში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დამატებითი კომენტარი გააკეთა მთავარი პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა. მისი განცხადებით, 2016 წლის 03 ნოემბერს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად იქნა ცნობილი ალბერტ მერებაშვილი, ხოლო ბრალი წარედგინა გიორგი ბერიანიძეს, რომელსაც გორის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით.

ბატონი შალვა ხუციშვილი შეეხო ჯიხაშკარის №79 საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტზე არსებულ გამოძიებასაც. მისი განცხადებით, საქმესთან დაკავშირებით 2016 წლის 03 ნოემბერს ბრალდებულის სახით დაკავებულია მეორე პიროვნება, რომელიც სავარაუდოდ არის პირი, ვინც თავს დაესხა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის დამკვირვებელს, და ამ ეტაპზე მიმდინარეობს სასამართლო წარმოება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის შესახებ. ბატონი შალვას განმარტებით, მართალია, დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე პირის იდენტიფიცირება თავიდანვე მოხდა, მაგრამ, დაზარალებული მხოლოდ მეორე ტურის დროს დაბრუნდა საქართველოში და მისი მხრიდან თავდამსხმელის ამოცნობამდე ვერ ხერხდებოდა პირის დაკავება. როგორც კი დამკვირვებელმა შეძლო დაბრუნება საქართველოში, იგი ჩავიდა ზუგდიდში ამოცნობის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად, რის შემდეგაც (3 ნოემბერს) პოლიციამ დააკავა ამოცნობილი პირი.

შემდგომ კომისიამ განიხილა ქ. რუსთავის №24 უბანზე მომხდარი შემთხვევა საარჩევნო კომისიის წევრ თამაზ ნოზაძის მხრიდან ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით. პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რუსთავის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით კირკიტაძისაგან შესული შეტყობინების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის მოსყიდვას, გამოკითხულ იქნა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დამკვირვებელი თამაზ ნოზაძე. იგი განმარტავს, რომ ქ. რუსთავში მდებარე №24 საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და მოადგილემ სთხოვეს დასალევად წყლის ყიდვა და მოტანა, რის გამოც თამაზ ნოზაძე გამოვიდა საარჩევნო უბნიდან და იქვე ეზოში მყოფ „ქართული ოცნების“ აგიტატორ ლევან კუტალაძეს გადასცა 10-ლარიანი კუპიურა წყლისა და სიგარეტის შესაძენად. ამ გარემოებას ადასტურებს გამოკითხული ლევან კუტალაძე. საქმის წინასწარი შესწავლიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები არ იკვეთება. გრძელდება სხვა პირთა გამოკითხვა.

ამ საკითხზე მცირე კომენტარი გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომლის განცხადებითაც, სამომავლოდ კარგი იქნებოდა, რომ დარეგულირდეს საარჩევნო კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების კვების საკითხი, რათა შემდგომ არჩევნებზე მსგავს პრობლემებს ადგილი არ ჰქონდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიებმა და ორგანიზაციებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და კომისიას გაუზიარეს ამ მხრივ დამკვიდრებული პრაქტიკა არჩევნების დღეს.

მთავარი პროკურორის მოადგილე შეეხო მედიაში გავრცელებულ არჩევნების სავარაუდო გაყალბების ორ შემთხვევას.

ბატონმა გიორგიმ ისაუბრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აჭარის ორგანიზაციის ლიდერ ლევან ვარშალომიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბათუმის საარჩევნო ოლქის №91 და №92 საარჩევნო უბნებზე ადგილი ჰქონდა კანონდარღვევას, კერძოდ, ერთმა და იმავე პიროვნებამ ხმა ორივე უბანზე მისცა. სამართალდამცავმა ორგანოებმა შეისწავლეს ვიდეოჩანაწერიდან ამოღებული ინფორმაცია და გამოირკვა, რომ კადრზე აღბეჭდილ პიროვნებას აერია საარჩევნო უბანი, რადგან მოცემულ სკოლაში ორი საარჩევნო უბანი იყო გახსნილი დამოუკიდებელი შესასვლელებით, ვიდეოჩანაწერი კი იმგვარად იყო დამონტაჟებული, რომ თითქოს აღნიშნულმა პირმა ჯერ მისცა ხმა ერთ უბანზე და შემდეგ მეორეზე გადავიდა ხმის მისაცემად. ბატონი გიორგის თქმით, აღნიშნული პირი ჯერ შევიდა ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, აჩვენა პირადობის მოწმობა და როდესაც გაარკვია, რომ იგი იქ საარჩევნო სიაში არ იმყოფებოდა, ხმის მისაცემად გადავიდა იმავე შენობაში არსებულ მეორე საარჩევნო უბანზე, სადაც ყველანაირი პროცედურის დაცვით მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. 8 ოქტომბერს ორივე საარჩევნო უბანზე არცერთი დამკვირვებლისა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მხრიდან არანაირი შენიშვნა ან საჩივარი არ გამოთქმულა და არ დაწერილა. უბანზე მისული ყველა ამომრჩეველი გადიოდა შემოწმებას ულტრაიისფერი ფანრით და მარკირების დაფიქსირების შემთხვევაში ვერ მიიღებდა უბანზე შესვლის უფლებას. ამდენად, ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ მოქალაქის მხრიდან ორ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, დანაშაულის ნიშნები არ გამოვლენილა.

მეორე ფაქტი ეხებოდა მთაწმინდის №1 ოლქის №4 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთი რეგისტრატორის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") უჯრაში აღმოჩენილ 49 პროპორციულ ბიულეტენს. ბატონი გიორგის განცხადებით, 2016 წლის 08 ოქტომბერს გამოძიება დაიწყო საარჩევნო ბიულეტენების გაყალბების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 362-ე მუხლის პირველი ნაწილით. თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაცული მანანა ბობოხიძის მაგიდის თაროზე ნაპოვნი ბიულეტენები ამოღებულ და დათვალიერებულ იქნა, რა დროსაც დადგინდა, რომ იყო 50 ცალი პროპორციული ბიულეტენი, რომელთაც აღენიშნებოდა თბილისის მთაწმინდის №1 საოლქო კომისიის და №4 საარჩევნო უბნის შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემი.

აღნიშნული ბიულეტენები იყო შემადგენელი ნაწილი საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი 1100 პროპორციული ბიულეტენისა. ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით, ვინმეს მხრიდან საარჩევნო ბიულეტენის გაყალბების ან/და ასეთის მცდელობის ფაქტი არ დასტურდება. საქმეზე გრძელდება გამოძიება.

ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა განახლებული ინფორმაცია საარჩევნო პერიოდში კომისიის მუშაობის ფარგლებში დაწყებულ გამოძიებებზე. მთავარი პროკურორის მოადგილის განცხადებით, პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის 107 საქმეზე; აქედან, სისხლის სამართლის 15 საქმეზე 23 პირი იქნა პასუხისგებაში მიცემული როგორც წინასაარჩევნო კამპანიისას, ისე არჩევნების დღეს და შემდგომ მომხდარ ინციდენტებზე. ამ საქმეებზე 15 პირის მიმართ სასამართლოს მიერ გამოყენებულია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები, ხოლო 8 ბრალდებულის მიმართ – საპატიმრო ღონისძიებები. გარდა ამისა, 19 საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და, შესაბამისად, გამოძიება ამ საქმეებზე დასრულებულია. ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის 87 საქმეზე (2 საქმე გაერთიანდა).

კომისიის თავმჯდომარემ შემდგომ სიტყვა გადასცა ბატონ მიხეილ (გელა) სალუაშვილს („ზვიადის გზა – უფლის სახელით"), რომელმაც დამსწრე პირებს გააცნო მისი პოლიტიკური გაერთიანების ანგარიში და შეფასებები 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. მან ისაუბრა კომისიის სამდივნოში მისი პარტიის მიერ წარმოდგენილ წინადადებაზეც, რომლის თანახმადაც, იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით უნდა შეიქმნას საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მოსამზადებელი მუდმივმოქმედი კომისია. ბატონი მიხეილის (გელა) თქმით, მათი შემოთავაზების მთავარი არსია ურთიერთთანამშრომლობა საპარლამენტო და პარლამენტს გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ ძალებს შორის, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს გაუმჯობესებული საარჩევნო კანონმდებლობით შეხვდეს სახელმწიფო.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა მადლობა გადაუხადა ბატონ მიხეილს (გელა) წინადადებისთვის და აღნიშნა, რომ ეს იყო სამდივნოში წარმოდგენილი ერთადერთი, წერილობით და სრულყოფილად ჩამოყალიბებული ინიციატივა, რომელიც პრაქტიკულად ხელმოწერის მეტს არაფერს საჭიროებდა; თუმცა, იქვე განმარტა, რომ, არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც ახალი მოწვევის პარლამენტი ჯერ არ შეკრებილა, ამ ეტაპზე მსგავსი კომისიის შექმნა არ იყო მიზანშეწონილი. თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება მსგავსი კომისიის შექმნის გარეშეც იყო შესაძლებელი და მაგალითისთვის მოიყვანა წარსულში სპეციალური საარჩევნო უბნების გაუქმების მიზნით თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებები.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას შეახსენა წინა სხდომაზე გამოთქმული ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკურ პარტიებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეთხოვათ 2016 წლის

15 ნოემბრამდე კომისიისთვის წარმოედგინათ საკუთარი იდეები და წინადადებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა საარჩევნო პროცესების, პროცედურების კანონით დადგენილი რეგულაციების დახვეწისაკენ.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი") სიტყვით გამოსვლისას მიულოცა საქართველოს მოსახლეობას საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება. მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს გაწეული საქმიანობისთვის, განსაკუთრებით კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და საქართველოს პროკურატურასა. ბატონმა დანიელმა დადებითად შეაფასა არჩევნების მეორე პროცესის მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარება. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის ხარვეზებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არაკვალიფიციურობაზე.

სხდომაზე სიტყვა ითხოვა ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია"), რომლის განცხადებითაც, 30 ოქტომბერს, 18:00 საათზე, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში გასული რეპორტაჟის თანახმად, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" დამკვირვებელი „ქართული ოცნების" წარმომადგენლებთან ერთად ზეგავლენას ახდენდა ამომრჩეველთა ნების გამოვლენაზე, რაც გამოიხატებოდა ამომრჩევლის გამოკითხვით, თუ ვის აძლევდა იგი ხმას. ბატონმა გრიგოლმა კატეგორიულად უარყო აღნიშნული ფაქტი და ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა საია-ს საჩივარი. მან მოითხოვა საია-ს მხრიდან ზემოაღნიშნული ფაქტის საჯაროდ უარყოფა.

ბატონი გრიგოლ გაგნიძის პასუხად ქალბატონმა ლელა ტალიურმა („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია") განაცხადა, რომ ქ. ზუგდიდის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" და „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" წარმომადგენლები ახორციელებდნენ ამომრჩევლის გამოკითხვა-აღრიცხვას შესაბამისი დოკუმენტაციის გამოყენებით. საჩივარში საუბარი იყო ზემოხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის ხელშეშლაზე და საია-ს წარმომადგენლის მოთხოვნა ეხებოდა უბანზე წესრიგის დამყარებას. ვინაიდან ამას შედეგი არ მოჰყვა, მათ საოლქო კომისიაში შეიტანეს საჩივარი კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოთხოვნის მიზნით და იგი არ ეხებოდა „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" დამკვირვებელს. გამომდინარე აქედან, ბატონი გრიგოლ გაგნიძის შენიშვნა საჩივრის არაკომპეტენტურობაზე საია-სთვის მიუღებელი იყო.

სამუშაო შეხვედრის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მობრძანებისა და გაწეული შრომისათვის.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

– „ზვიადის გზა უფლის სახელით“ მიხეილ (გელა) სალუაშვილი.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ლელა ტალიური.

სხდომა დასრულდა 10:30 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: